საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №179

2019წ. "12" 09

ქ.თბილისი

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის

პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 14 მაისს ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის" სამაგისტრო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 ივნისის №463 ბრძანების საფუძველზე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 18 ივლისის №622 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 25 ივლისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2019 წლის 27 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული

თავმჯდომარე

მდივანი

ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 12 სექტემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის დროს ექსპერტთა მიერ ვერ დასაბუთდა მათ მიერ დასკვნაში მითითებული შეფასებები, რომლებიც ეხებოდა 2.2; 2.4; 2.5;2.6; 3.1; 3.2; 4.1 და 4.2 სტანდარტებს.

კერძოდ, 2.2 სტანდარტთან მიმართებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, „ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის რეჟიმში უწყვეტად განხორციელების მიზნით აისახება ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით წარდგენილ საავტორიზაციო/სააკრედიტაციო განაცხადში, უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს ან „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას." აქედან გამომდინარე, ექსპერტთა შესაბამისი რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული საბჭოს წევრთა მიერ.

2.4 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტების პოზიცია არ იქნა გაზიარებული. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში ფიქსირდება ცალკეული აქტივობები, რომლებიც მიმართულია სტუდენტის კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარებისაკენ (მაგალითისთვის ანალიტიკური ესე, არგუმენტირებული ესე და სხვა). ასევე, ვებ-გვერდით დასტურდება, რომ სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს 3 კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ზემოაღნიშნული წარმოადგენს. ასევე, დასტურდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

საბჭოს წევრების მიერ არ იქნა გაზიარებული ექსპერტთა რეკომენდაცია 2.5 სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების განმარტება/გამიჯვნასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების პირველი პრიმა მუხლის „თ" ქვეპუნქტის მიხედვით სწავლება-სწავლის მეთოდია – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ.,

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.); ხოლო, იმავე მუხლის „ლ" ქვეპუნქტის მიხედვით შეფასების მეთოდია - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვა).

ზეპირ მოსმენაზე გამოიკვეთა, რომ ექსპერტები არ იცნობდნენ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შეფასების ფორმების/შეფასების კომპონენტების შეფასების მეთოდების გაზომვის შეფასების კრიტერიუმების 31 გვერდიან ინსტრუქციას, რომელიც ერთვოდა როგორც

წარმოდგენილ მასალას, ისე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2.6 სტანდარტთან დაკავშირებით, ზეპირ მოსმენაზე გაირკვა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შეფასების ფორმების/შეფასების კომპონენტების/შეფასების მეთოდების გაზომვის შეფასების ინსტრუქცია", რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, არსებული პროგრამის შეფასების სისტემაში. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტები (მაგალითად, მოდელირება, დებატები, ანალიტიკური ესე, კაზუსის ამოხსნა და სხვა).

3.1. სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ინტერნაციონალიზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობები, კერძოდ უცხოეთის 26 უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელთა მიზანია სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელება.

დაწესებულების მიერ დოკუმენტის სახით წარმოდგენილი იქნა შრომის ბაზრის ანალიზი, საიდანაც დასტურდება, რომ მოცემული პროგრამისთვის ასევე, ჩატარებულია შრომითი ბაზრის დეტალური ანალიზი, ასახულია დაწესებულების ხედვა განათლების ხარისხის მართვის ინდიკატორებსა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით დასაქმების მაჩვენებლების შესწავლის თვალსაზრისით.

რაც შეეხება 3.2 სტანდარტში გამოთქმულ რეკომენდაციას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება, რომ სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლაში შემუშავებულია მაგისტრატურის დებულება, რომელსაც დანართად ახლავს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესი, სადაც დეტალურად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელთა გათვალისწინება ევალება სამაგისტრო პროგრამასთან ასოცირებულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პირს.

ზეპირ მოსმენაზე 4.1 და 4.2 სტანდარტების შეფასებასთან დაკავშირებით აშკარად გამოიკვეთა ტექნიკური ხარვეზის არსებობა, კერძოდ, ექსპერტებს სამწუხაროდ ვერ მიეწოდათ ელექტრონულად გადაგზავნილი დოკუმენტაციის სრული ვერსია (აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის შესაძლებლობის თაობაზე დაშვება გააკეთა ცენტრის წარმომადგენელმაც), რაც გახდა სხდომის გადადების საფუძველი. მეორე სხდომაზე დადასტურდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასთან (წარმოდგენილი იქნა პერსონალის პირადი საქმეები), ასევე განმეორებით წარმოდგენილი იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების, სხვადასხვა ღონისძიებებში მათი მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე, არ დადასტურდა რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პირი, რომელსაც აქვს მხოლოდ ბაკალავრის დიპლომი. დაწესებულებამ ზეპირი მოსმენის დროს წარმოადგინა ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი, რითაც ფაქტობრივად 4.1. და 4.2 სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოხსნილი იქნა თავად სხდომაზე დამსწრე ექსპერტების მიერაც.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

თავმჯდომარე

მდივანი

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის 2019 წლის 14 მაისის №115 (ცენტრში რეგისტრაციის №568481) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის" სამაგისტრო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 12 სექტემბრის №49 სხდომის ოქმის №1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2019 წლის 19 სექტემბერი.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე	ქეთევან ქოქრაშვილი
მდივანი	ნინო ლიპარტია

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა
2	სტატუსი[2]	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 25 ივნისი, №130
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	საერთაშორისო ურთიერთობები
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მე-7
7	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	„--------„
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძველები
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0312
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო, 0160, ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა №10
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 19 სექტემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	"--------"
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 19 სექტემბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი